პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათდღიური ორგანო.

29
დეკემბერი
1937 წ. № 29 (116)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხურვალე სალამი რევოლუციის ფხიზელ გუშაგს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან მუშაკებს, საგანგებო კომისია—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის 20 წლისთავზე

## პროლეტარიატის შიშველი მახვილი

20 დეკემბერს შესრულდა სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომის არსებობის 20 წელი.

1917 წლის 20 (7) დეკემბერს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა კონტრრევოლუციის გასანადგურებლად სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნისათვის გამოცემულ დეკრეტს.

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის დეკრეტის მიღების წინ ვ. ი. ლენინი სწერდა ამხანაგ ფელიქს ძერჟინსკის:

„ბურჟუაზია, მემამულეები და მთელი მდიდარი კლასები [illegible] თავგანწირული დაძაბვით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია ჩადის უბოროტეს დანაშაულობებს, ქრთამავს საზოგადოების ნაძირალებს და აცდენილ ელემენტებს, ათრობს რა მათ პოგრომების მოხდენის მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, [illegible] მოსამსახურეები, ბანკის მოხელეები და სხვ. ეწევიან მუშაობის საბოტაჟს, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობას და მის ზომებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისაკენ. საქმე სასურსათო მუშაობის საბოტაჟამდეც კი მიდის, რაც შიმშილით [illegible] მილიონობით ადამიანებს.

[illegible] კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან ბრძოლის სასწრაფო ზომები“. (ტომი 22, გვ. 126).

ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისთანავე შინაური და გარეშე მტრები დაირაზმნენ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განადგურებისათვის. ამ რეაქციული ძალების მიზანი იყო [illegible]ხორციელებინათ თავიანთი მზაკვრული ზრახვები: მოესპოთ რევოლუციის უდიდესი მონაპოვარი და აღედგინათ კაპიტალისტებისა და მემამულეების ძველი ბატონობა.

სრულიად - [illegible] საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომის არსებობის 20 [illegible] შინაურ და გარეშე მტრებთან [illegible] ბრძოლის წლებია. ეს არის [illegible] შეუდრეკელი ბრძოლისა მრავალთავიან ჯაშუშებთან, დივერსანტებთან და სხვა მავნებლებთან, რომლებიც უცხოეთის მზვერავი ორგანოები [illegible] ჩვენი ქვეყნის ზურგში. [illegible] კონტრრევოლუციური [illegible] ბანდის განად[illegible] ხელმძღვანელობ[illegible] ჩვენი პარტიის ერთგულესი შვილი [illegible] რევოლუციის რაინდი ფ. ე. ძერჟინსკი, რომელიც სათავეში უდგა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას.

[illegible] გერმანიის, [illegible]ნიისა და პოლონეთის [illegible] დაზვერვის [illegible] საბჭოთა კავშირ[illegible] შემოგზავნილ ჯაშუშებმა უკანასკ[illegible] დრომდე [illegible] თავი. ისინი გა[illegible] ამჟღავნეს [illegible] შინსახკომე[illegible] პარტიის ერთ[illegible] შვილის, ამხანაგ [illegible] ეჟოვის ხელმძღვანელობით.

[illegible] შეთქმულებათა [illegible] სხვა ისეთი სისხ[illegible] დანაშაულებანი, ღალატი და გამცემლობა, როგორსაც მიმართავდნენ და მიმართავენ მშრომელთა მოსისხლე მტრები — ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველი ბანდიტები. ეს არამზადები ფაშისტურ - დაზვერვათა ყველაზე გამოცდილი და სისხლისმსმელი დაქირავებული აგენტები არიან. ისინი მოქმედებდნენ მათი ფულითა და დავალებით. ამზადებდნენ ომს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენი სახელოვანი შინსახკომი ძირფესვიანად აღმოფხვრის და სპობს რა ფაშისტ მკვლელებს, იცავს სოციალიზმის მონაპოვართ. იცავს საბჭოთა ხალხის წმინდათა-წმინდა უფლებებს, რომლებიც ჩაწერილია სტალინურს კონსტიტუციაში. იცავს მშვიდობიანობის საქმეს, ამხილებს ომის გამჩაღებლებს და დაუფასებელ სამსახურს უწევს ყველა ქვეყნის მშრომელთ. ამაშია ის უდიდესი დამსახურება შინსახკომისა რომელსაც სტალინური სახკომი ამხანაგი ეჟოვი ხელმძღვანელობს.

— „მსოფლიოში არ მოიპოვება არც ერთი სახელმწიფო, — ამბობდა ამხანაგი ეჟოვი ს. ს. რ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1937 წლის 27 ივლისის სხდომაზე, — სადაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, დაზვერვის ორგანოები ასე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ხალხთან. ასე მკაფიოდ გამოხატავდნენ ამ ხალხის ინტერესებს, იდგნენ ხალხის მონაპოვართა სადარაჯოზე.

კაპიტალისტურ მსოფლიოში დაზვერვის ორგანოები მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებისათვის წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო საძულველ ნაწილს, რამდენადაც ისინი ერთი მუჭა გაბატონებულ კაპიტალისტთა ინტერესების სადარაჯოზე დგანან. ჩვენში, პირიქით, საბჭოთა დაზვერვის ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგანან. ამიტომ ისინი სარგებლობენ მთელი საბჭოთა ხალხის დამსახურებული პატივისცემით, დამსახურებული სიყვარულით“.

საბჭოთა დაზვერვის ძალა და ძლიერება პროლეტარიატის დიქტატურის ძალასა და ძლიერებაშია. მისი უძლეველობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიან მასასთან, იმაში, რომ იგი მასებს ეყრდნობა. მას სიმამაცეს და ძალას აძლევს რევოლუციის ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულება, ლენინ - სტალინის პარტიისადმი ერთგულება.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომის 20 წლის თავზე მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ ის კიდევ უფრო აამაღლებს რევოლუციურ სიფხიზლეს, დაუნდობელი იქნება ხალხის მტრების როგორც გამომჟღავნების ისე განადგურების საქმეში, თავდადებულად იბრძოლებს ლენინ - სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის, დიადი საბჭოთა ხალხის საქმისათვის.

## შინსახკომი— ამხანაგ ნ. ი. ეჟოვს

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახელით მხურვალედ მივესალმები და ვულოცავ სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო-შინსახკომის 20 წლისთავის დღეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა მუშაკს — სახელოვან რიგით ჩეკისტებს, მათ მეთაურებსა და უფროსებს.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი გმირ ჩეკისტებს მაღლა უჭირავთ საბჭოთა საზღვრებისა და ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის დაცვის დროშა. სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო-შინსახკომის ოცი წელი—ეს არის ბრძოლათა და გამარჯვებათა ოცი წელი ხალხის ყველა ჯურისა და ფერის საზიზღარ, როგორც უცხოეთიდან შემოგზავნილ, ისე ჩვენს ქვეყანაში დამსხვრეულ და სულმობრძავი ექსპლოატატორული კლასების მიერ წარმოშობილ მტრებთან.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, სრულ წარმატებას თქვენს არაიოლ, მაგრამ საპატიო და სასახელო მუშაობაში ჩვენი დიადი სამშობლოს, სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

**სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი**

**კ. ვოროშილოვი**

## სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია—გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო—შინსახკომის ოცი წლისთავისათვის

სრულიად - რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო — შინსახკომის 20 წლისთავის დღეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს, რომლებიც პატიოსნად და თავდადებით ასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა ხალხის წინაშე შპიონაჟთან, მავნებლობასთან, დივერსიასთან ბრძოლის საქმეში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უსურვებენ შინსახკომის მუშაკებსა და მეომრებს სრულ წარმატებებს მათ მუშაობაში ხალხის მტრების აღმოსაფხვრელად.

გაუმარჯოს შინსახკომს, რისხვას საბჭოთა ხალხის მტრებისათვის!

**სსრ კავშირის სახკომსაბჭო**

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

## კიევი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ კოსიორს

აყვავებული უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი ოცი წლისთავის დღის მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით მთელ უკრაინელ ხალხს საქართველოს ბოლშევიკთა და ყველა მშრომელთა სახელით.

საბჭოთა უკრაინის ოცი წლისთავი დიდ დღესასწაულს წარმოადგენს დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით.

უდიდესი მიღწევებით ეგებება საბჭოთა უკრაინა ამ ისტორიულ თარიღს. ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადების — **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით, უკრაინის გმირმა მუშებმა და გლეხებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით გაანადგურეს გერმანელ-პოლონელი ოკუპანტები, გეტმანელ-პეტლიურელ და სხვა ინტერვენტ-თეთრგვარდიელთა ურდოები.

დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით უკრაინის ბოლშევიკებმა მჭიდროდ დარაზმეს თავის ირგვლივ მთელი უკრაინელი ხალხი და, განუხრელად ანხორციელებდნენ რა ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, გაანადგურეს ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ბანდები და უზრუნველჰყვეს საბჭოთა უკრაი[illegible]ციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავება.

გმირი მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხი, საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით გამსჭვალული, მრისხანე ძალას წარმოადგენს ომის ფაშისტ გამღვივებელთა წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი მტაცებლური თვალი მიუმართავთ აყვავებულ, დოვლათით სავსე საბჭოთა მხარეზე — უკრაინაზე, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე.

სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში ბედნიერი უკრაინელი ხალხი, მტკიცედ დარაზმული ბოლშევიკთა პარტიის ირგვლივ, დიდი **სტალინის** ირგვლივ, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ყოველ აღვირახსნილ მტერს.

უკრაინის ბოლშევიკები, საკ. კ. პ. (ბ) რკინისებური ურყევი რაზმი, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, აღმოფხვრიან ხალხის საზიზღარი მტრების — ფაშისტ ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების, ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლების ნაშთებს და წაიყვანენ უკრაინელ ხალხს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის XX წლისთავს!
გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!
გაუმარჯოს დიდ უკრაინელ ხალხს!
გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს, დიდ **სტალინს!**

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—**

**ლ. ბერია.**

## დიდი მიტინგი

20 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა დიდი მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია — გაერთიანებული პოლიტსამმართველო — შინსახკომის არსებობის 20 წლის თავისადმი.

მიტინგზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ბარამია, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ უდიდეს წარმატებებსა და მიღწევებს, რომელიც მოიპოვეს ჩვენმა სახელოვანმა შინსახკომელებმა კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: პროფ. კეკელიძე, პროფ. გ. ნათაძე, სტუდენტი ე. ლისელიძე და სხვები.

— ჩვენ გვიყვარს შინსახკომელები, რადგან ისინი ფხიზლად იცავენ ჩვენს აყვავებულ ქვეყანას შინაურ და გარეშე მტრებისაგან. ჩვენ გვიყვარს სახელოვანი შინსახკომელები, იმიტომ, რომ მათ ნიღაბი ჩამოგლიჯეს და გაანადგურეს ხალხის საზიზღარი მტრები, სამშობლოს გამცემლებს, ტროცკისტ-ბუხარინელებს, ზინოვიეველებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციას.

ჩვენ უსაზღვროთ გვიყვარს საუკეთესო სტალინელი, მებრძოლი ჩეკისტი ამხ. ნ. ეჟოვი, რომელიც სპობს და ანადგურებს ხალხის ყოველი ჯურის მტერს — ლაპარაკობენ სიტყვით გამოსული ამხანაგები.

მიტინგი სიტყვას იძლევა, რომ უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით დაირაზმება ბოლშევიკური პარტიისა და სახელოვანი შინსახკომის ორგანოების გარშემო, გააძლიერებს კლასობრივ რევოლუციურ სიფხიზლეს, ამხელს და [illegible] გაანადგურებს ხალხის მტრებს რა ნიღაბითაც არ უნდა იყვნენ ისინი.

# ქართველი ხალხის გენიალური პოეტი

## შოთა რუსთაველი

## ვეფხის-ტყაოსანი

### დასაწყისი*

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
და მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
და ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ვის ჰშვენის,— ლომსა,— ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა ლაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისა,
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შე-რისა.
და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მი-შერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა.
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა.
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს, მივსცე გონება,
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
და აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
და ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი.
შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,



---

*) ნაწყვეტი.

**სოლ. იორდანიშვილი**

# „ვეფხის-ტყაოსნის“ პოლონური თარგმანი

ჩვენს წერილში — „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე — რომელიც ამას წინათ გაზ. „კომუნისტ-ში“ დაიბეჭდა[1]), არა გვითქვამს რა „ვეფხის-ტყაოსნის“ პოლონურ თარგმანზე, რადგან განზრახული გვქონდა ამ საკითხის უფრო ვრცლად განხილვა.

პირველ ცნობას ამ თარგმანის არსებობის შესახებ გვაწვდის ივანე კერესელიძე 1870 წ. ჟურნ. „ცისკარში“[2]) ამ საკითხის გამო სპეციალურად მიძღვნილ წერილში, სადაც იგი, სხვათაშორის, წერს:

„ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა შრომა გასწია პატივსაცემმა აკადემიკმა ბროსემ და რამდენი წიგნები სთარგმნა ქართულიდგან ფრანცუზულს ენაზედ; სხვათა შორის, ამ პატივცემულმა საქართველოს მეისტორიემ უთარგმნა ფრანცუზებს ჩვენი ჩინებული და ჩვენთვის ძვირფასი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, რომელსაცა გაკვირვებით შეხედეს ფრანცუზებმა; რუსულს ენაზედაც სთარგმნეს ნაწყვეტები, შიგადაშიგ, რომლის ღირსებაზედაც აქ არა ვხედავთ საჭიროთ მოვილაპარაკოთ; და ვინ იფიქრებდა, თუ ეს **პოემა იქნებოდა ნათარგმნი პოლშურს ენაზედაც**, არა ნაწყვეტებად, როგორც რუსულს ენაზედ, არამედ თავიდან მოკიდებული, ბოლომდინ.

ამ სტატიის დამწერმა თითონაც არ იცოდა ამისი თარგმნა პოლშურს ენაზედ, და მგონი არც სხვა ქართველებმა იციან, მაგრამ ეს შევიტყვეთ მოულოდნელის შემთხვევით და ამ შემთხვევასა ვხადი ერთს იმ ბედნიერებათ, რომელთა გვარს, ჩემს სიცოცხლეში ბევრს არ შევხვედრივარ“.

ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ ეს სასიხარულო ცნობა ივ. კერესელიძისათვის მიუწვდია თბილისში (გერმანელების ახალშენში) მცხოვრებ ვინმე, განათლებულ თვალის ექიმ, **ტალკოს** და მასვე უთარგმნია, კერესელიძის თხოვნით, „ვეფხის ტყაოსნის“ პოლონურ თარგმანის წინასიტყვაობა რუსულად, აი ამ მასალაზე აუგია კერესელიძეს თავისი წერილი, სადაც არ აღუნიშნავს, თუ სად დაიბეჭდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ეს პოლონური თარგმანი. ამის შესახებ პირველად გარკვეულ ცნობას გვაწვდის ნიკოლოზ გულაკი:... **Другой опыт перевода или, скорее, сокращенной, хотя довольно подробной передачи содержания всей поэмы, я нашел в польском журнале**

.. ...

(Том IV, год 1863). Некто Казимир Лапчинский рассказал там на страницах: 1-38, 250-292, 495-514 все содержание Барсовой Кожи. Biblioteka Warszawska[3]

კაზიმირ ლაფჩინსკიმ „ვეფხის-ტყაოსნის თავისი თარგმანი გამოაქვეყნა ვარშავაში 1863 წელს. ამ თარგმანში უახლოესი მონაწილეობა მიიღო ქართველ „მოლიერად“ ცნობილმა, ქართულ თეატრის და პირველ ქართულ ჟურნალის „ცისკრის“ დამაარსებელმა გიორგი ერისთავმა (1811-1864).

ცნობილია, რომ იგი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ნიკოლოზ 1-მა გადაასახლა პოლონეთს. თავის „ახალ სამშობლოში“, სადაც მან 4 წელზე მეტი დაჰყო, (სწავლობდა ქ. ვილნოს უნივერსიტეტში) შეისწავლა პოლონური და თარგმნა ქართულად პოლონურ რომანტიზმის მამამთავრის ა. მიცკევიჩის რამდენიმე ლექსი 1838 წ. საფიქრებელია, რომ მანვე დააინტერესა ნაწილობრივ პოლონეთის ლიტერატურული წრეები საქართველოთი და რუსთველის უკვდავ ქმნილებით. ასეა თუ ისე, გიორგი ერისთავის უშუალო მონაწილეობით ჩვენ გვაქვს „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველი პროზული თარგმანი პოლონურ ენაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რატომღაც, გიორგი ერისთავის თხზულებათა არც ერთი გამომცემელი და ბიოგრაფი (ი. მეუნარგია, შ. რადიანი და ი. ბალახაშვილი) ამის შესახებ არას ამბობენ, მაშინ როდესაც „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე გარკვეულ ცნობას გვაწვდის 1870 წ. „ცისკარში“ მოთავსებულ წერილით „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ. (ნ. „ცისკარი“. ივნისის ნომერი. 261 გვ. შენიშვნა). თავის თარგმანისათვის ლაფჩინსკის საფუძვლად დაუდვია „ვეფხის ტყაოსნის“ მეორე გამოცემა ბროსე-ფალავანდიშვილი — ჩუბინოვისა რომელიც 1841 წელს დაიბეჭდა. ეს ირკვევა იმ წინასიტყვაობიდან, რომელიც წაუმძღვარა მთარგმნელმა ლაფშინსკიმ „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ თარგმანს. იგი პირდაპირ მიგვითითებს ამ წყაროზე, როდესაც წერს: „რაც შეეხება გარეგან ფორმას, პოემა შემდგარია 1637 სტროფისაგან (ბროსეს გამოცემით).“

ბროსეს გამოცემის დასახელებით უკვე ირკვევა, რომ პოლონური თარგმანი შესრულებულია მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლების საზღვარზე (1841-60), ამიტომ, რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ივანე კერესელიძის შემდეგი განცხადება „ცისკარში“ მოყვანილი: „სამწუხაროდ, ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ წიგნში არა ჩანს, თუ რომელს წელიწადში არის ნათარგმნი და როგორც ტალკო გვარწმუნებს, ვითომც ეს ეთარგმნოს ამ ორმოცის, თუ ორმოცდახუთის წლის წინეთ (ე. ი. 1825-30 წლებში. ს. ი.) ერთს ინჟინერს პოლიაკსა, რომელიც მსახურობდა თურმე კავკაზიაში და რომლის გვარი ყოფილა კაზიმირ ლოფჩინსკი“. („ცისკარი“, 1870 წ. გვ. 258).

(ცხადია 1825-30 წლებში პოლონური თარგმანი ვერ გაკეთდებოდა რადგან, ჯერ ერთი, მაშინ ბროსეს გამოცემა არ არსებობდა და მეორეც ძნელი წარმოსადგენია, რომ 14-19 წლის გიორგი ერისთავს შეძლებოდეს ისეთი თანამშრომლობის გაწევა პოლონელ მთარგმნელისათვის, რომ ეს საგანგებოდ აღსანიშნავი ყოფილიყოს ასეთის სიტყვებით:

> „მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ბიჯი, რომელიც გვმსახურებს დასამეგობრად პრომეტეის სამშობლოს ქვეყნისა. ეს აზრი, რომ თვით უპირველესი პოეზია შეიქმნა გირაოდ ჩვენის მეგობრობისა. იყო ხელმძღვანელი **განათლებულის ქართველისა)** (იმის გვარს არ ვახსენებ იმისათვის, რომ თვითონ იმან არ ინება) რომელიცა მრთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარელის ქართველთ პოეტის ქმნილებასა. ჩვენი მუშაობა ვეფხის-ტყაოსანზედ, რომელსაცა ვახმარებდით თითქმის შუალამემდინ, დარჩა პირველ სახსოვრად ტფილისს.)

ამის გარდა, ლაფჩინსკი იმავე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „მიცკევიჩის თხზულებიდგან გადათარგმნილი არის ზოგიერთი ლექსები ქართულს ენაზედ“. ეს ცნობა კი უეჭველად გ. ერისთავის თარგმნებს გულისხმობს და გარკვეულ პერიოდზე მიგვითითებს სახელდობრ 1838 წ.

ამ ძირითად სიტყვა-სიტყვით თარგმანში, რომელიც ამ დროისათვის საკმარისად კარგად არის შესრულებული, ზოგიერთ გამოტოვებულ თავისა და სტროფის მხოლოდ შინაარსია მოკლედ მოთხრობილი. სიტყვა სიტყვით თარგმნილი სტროფები დანომრილია ბროსეს გამოცემის მიხედვით: სიტყვა-სიტყვით თარგმნილია შემდეგი სტროფები: 1-7, 15, 17, 26 - 29, 32 - 78, 99 - 112, 114, 118-124, 216 - 222, 235 - 241, 243 - 247, 250 - 254, 262 - 265, 778 - 781, 814 - 824, 839 - 840, 904 - 909, 925 - 929, 989 - 994, 1078, 1093 - 1112, 1154 - 1160, 119[illegible] - 12[illegible], 1250 - 1283, 1381 - 1382, 1401-1407, 1631 - 1633, 1637.

დანარჩენ სტროფების მხოლოდ შინაარსია მოთხრობილი.



წინასიტყვაობაში მოცემულია ქართველის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რუსთველის ტრადიციული ბიოგრაფია, პოემისა და ამ დროისათვის [illegible] გამოცემათა (ვახტანგისა და ბროსე) შეფასება.

ქვემოდ მოყვანილ მცირე ამონაწერით თქვენ ადვილად დარწმუნდებით, რომ ავტორი არ არის მოკლებული ერთგვარ მახვილგონიერებას, განსაკუთრებით კი გამოცემათა შეფასებაში.

აი რას წერს იგი:

„თუმცა ბევრნი უწოდებენ ვახტანგს პიზისტრატს, მაგრამ, ჩვენა გვგონია, რომ შრომა ვეფხის ტყაოსანზე“ არ არის [illegible]სრულებული, ისე წაუხდენია სხვადასხვა მჩხაბავებს. ამაში ისე ნათლად [illegible]ვდება მკითხველს სხვისგან წა[illegible]დენი ტაეპები, რომ არაფრისთანა მოს[illegible] არ გამოდის და შეატყობს, რომ ვილაცა იჭოს აურევ-დაურევია“.

**ბროსეს** შესახებ [illegible] შენიშნავს: „ბროსე... არა თუ [illegible] გაისარჯა და არ გაწმინდა „ვე[illegible]ტყაოსანი“ სხვა მწერლების ლექს[illegible]გან, რომელიცა ჩამატებული არის — იმან შეავსო ახალის, დიდის მ[illegible]დიდრობით მოპოებულის, ახალი[illegible] ლექსებით, რომელიცა უშოვნია სხვადასხვა წიგნებიდგან. გაუტია სხვისასა და თვითონაც ჩაუმატა თავისი თხზული ლექსი, თუმცა თანაუგ[illegible] იმ ლექსის ქართველებს და გა[illegible]ცხადა სიყვარული“. („ცისკარი [illegible]870 წ. გვ. 274).

აღსანიშნავია, რომ [illegible]რიტიკულ ალღოს ლაფჩინსკი „ვე[illegible] ტყაოსნის“ სტროფების თარგმნი[illegible]საც იჩენს. მაგალითად, მას არ [illegible]თარგმნია 113 სტროფი: (კ. ჭიჭინაძ[illegible]34 წ. გამოცემით — 120 სტრ.).

თუ ყოფილა იგი [illegible]ორცეილი,
ხმ[illegible]ლელად..

და 242 სტრ. (ჭი[illegible]) ყმა ეტყვის:

„ხედავ. სისხლისა [illegible] მდის
ც[illegible]ლები...

მათ შესახებ იგი [illegible]ბვს nie Rustawela (არ არი[illegible]ველისაო). ვფიქრობთ, რომ ლაფ[illegible] ამ [illegible] ცდება: ყოველშემთხვევაში [illegible]ბი არც ჩვენმა კომისიამ და [illegible]რომმა სარედაქციო კოლეგიამ [illegible] ტყაოსა-ნის“ ძირითად ტექსტ[illegible]ტანა.

სამწუხაროდ, თბილ[illegible]რსებულ პოლონურ ენციკლოპ[illegible]ის [illegible]ერავითარი ცნობა ვერ ვნა[illegible] ნათლებულ პოლონელ მთარ[illegible] შესახებ, რომელიც ასეთის აღ[illegible]მიმარ[illegible] თავს „ვეფხის ტყაოსან[illegible] წინასიტყვაობის ბოლოში:

„ასე. გთარგმნი რა [illegible] ენაზე. ჩემო „ვეფხის-ტყაო[illegible] ჩემო ნუგეშისმცემელო, გაპო[illegible] გამოდი ქვეყანაში. მე [illegible] რომ რამდენიმე გული [illegible] ქართველო“.

აი, მოკლედ, [illegible]რის თქმაც შეიძლებოდა პოლონურ თარგმანსა და მის ავტორის შესახებ.

„ქართველი გენიოსის პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" თავისი შეუდარებელი მხატვრული ძალით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ხოლო პირველ რიგში მის მოწინავე რაზმს — საბჭოთა ხალხებს, სოციალიზმის მშენებელთ, სილამაზისა და სიმართლისათვის მებრძოლთ". („პრავდა").

**ტრ. რუხაძე**

# შოთა რუსთაველის პირველი ბიოგრაფი და კრიტიკოსი

ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული
არც შემდგომთ მოსაპოვარი.
რუსთველი

(თეიმურაზ 1-თან გაბაასებიდან)

ძველი დროის პირველი პოეტი, რომელმაც მოგვცა „ვეფხის ტყაოსნის" გარჩევა და მისი ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა იყო არჩილი (1647-1713 წ. წ.).

არჩილი იყო საერო პოეზიის პირველი კრიტიკოსი, რომელმაც თავის „არჩილიანში" ერთგვარი კონცეპციაც კი მოგვცა პოეტურ ნაწარმოების კრიტერიუმად. მისი აზრით პოეტს მართებს გაჰყვეს რუსთველის გზას, იცოდეს და დაიცვას ერთი გაბატონებული ენა, ჰქონდეს საერო და სასულიერო განათლება. ვისაც ეს სამი თვისება არ ახასიათებს არ შეიძლება პოეზიას შერჩეს. პოეტს მართებს გამოიყენოს რეალისტური სტილი, მასალები მხატვრული ფაქტისათვის სინამდვილიდან უნდა აიღოს. ყოველივე სხვას არჩილი „ტყუილად მოტმასნილ, ნაჭორ ამბებს" უწოდებს. მას ისიც კარგად აქვს შეგნებული, რომ:

„არ ადვილი არს რიტორთა და მელექსეთა გარჩევა,
ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის მის ალაგთა შერჩევა".

აი, ამ წინასწარი კრიტერიუმით უდგება არჩილი პოეტური მემკვიდრეობის გარჩევას. მის კრიტიკულ ეტიუდში „ძველი და ახალი დროის ქართველ მელექსეთათვის" — არჩილს მოუხსენებია 13 პოეტი: ჩახრუხაძე (12 საუკუნე), ხოსრო თურმანიძე, ნანუჩა მწერალი, ჯავლაგა ფავლენიშვილი, ქაიხოსრო მწერალი, ნოდარ ფარსადანის-ძე (ციციშვილი), გარსევან ჩოლოყაშვილი, სულხან თანიაშვილი, ბარძიმ ვაჩნაძე, იაკობ სამებელი, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე, ბააკა დვალაძე, დათუნა ქვარიანი (16-17 საუკ.). მათ შორის დასახელებული ყავს აგრეთვე შ. რუსთველი და თეიმურაზ პირველი (1589-1663 წ.).

ამ თხზულების დაწერა გამოუწვევია შემდეგ გარემოებას: როცა ქართულ საერო პოეზიას თეიმურაზი მოევლინა, დაისვა საკითხი ვინ ვის სჯობს, თეიმურაზი თუ რუსთველი. გადაჭრით პასუხს ვერავინ იძლეოდა. ამაზედ ბევრჯერ მესმოდა ცილობა — ამბობს არჩილი, და ამისათვის ისევ გავაბაასე ბატონი თეიმურაზი და რუსთველი და თქვენ თვითონ გასინჯეთ „ვინ ვის ჯობდეს". არჩილის გეგმა ასეთია: ჯერ ზოგადად ახასიათებს ყველა თანამედროვე და ძველი დროის საერო პოეტს, რომლებიც უბრალო ვარსკვლავებია რუსთველთან შედარებით. შემდეგ თეიმურაზის სიტყვებით იძლევა რუსთველის პოეზიის დახასიათებას. ამასთანავე წარმოდგენილი რუსთველის და თეიმურაზის ბიოგრაფია. შოთას ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირებია პოეტს თამარ მეფის დროსთან. ეს ნაწილი შეიცავს უფრო მე-12 საუკ. საქართველოს გალექსილ ისტორიას (არჩილიანის 1888 წ. გამოცემა გვ. 132-167).

არჩილის ბიოგრაფიული მასალებიდან სჩანს, რომ რუსთველი შემდეგ ამბებს მოესწრო: თამარის ლაშქრობას ბასიანში, კახასძის გამრეკელის გმირობას, დვინზედ ლაშქრობას, გიორგი რუსის ბრძოლებს სპარსეთის წინააღმდეგ, გელაქუნის მოოხრებას, თამარის მეორე ქმარს — დავით სოსლანს, გიორგი ლაშას დაბადებას, ნუქრადინისა და არდაველი სულთანის საქართველოზე ლაშქრობას, დიდებულების განდგომას და თითქმის ყველა ამბებსა და ომებს, რომელიც თამარის დროს (1184-1212 წლებში) მოხდა. რუსთველი მოსწრებია თამარის გარდაცვალებასაც:

„მზე ულრუბლო დაგვიბნელდა...
სვე სვიანი გარდიცვალა"...
(არჩილიანი 1888 წ. გვ. 67).

თითქოს რუსთველს თამარის ყველა ომებში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ყოველთვის სიკვდილს გადარჩენილა:

„ამას ბრძანებ რად არ მოჰკვდი, ან ლახვარი რად არ იყავ
ეს ვერა ვქმენ, ბატონი ხარ რაც გერჩიოს მუქვათ მიყავ"
(არჩილიანი. 1888 წ. გვ. 167).

არჩილის თქმით რუსთველი იყო მესხი ჯავახეთიდან:

„უყურე ბრიყვსა მესხსადა ამაყსა შეუპოვარსა,
რაღას გელავბო ჯავახსა, ღარიბსა შეუპოვარსა".

ასე მიმართავს თეიმურაზი რუსთველს დასახელებულ გაბაასებაში. შოთას განათლება საქართველოს შემდეგ საბერძნეთში მიუღია

„ნიადაგ ჩემი ლექსისა ქება თქვენც გაგიგონია,
მე ათინას ვარ გაზრდილი... და სხვ.

პოეტის ბედი შესაძლოა მართლაც ყოფილიყო დაკავშირებული თამარის რომანულ ხლართებთან. არჩილისა და თეიმურაზის თქმით, რასაც შემდეგ ალორძინების ხანის ყველა პოეტი იმეორებს, რუსთველს

„ჰქონდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა"ო

არჩილის მასალებით რუსთველი თამარის ყმად იწოდება. თამარსვე შეუკვეთია შოთასთვის პოემა. თეიმურაზი ეკამათება რუსთველს:

„ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს რაცა თქვი იძულებითა,
თამარ მეფემ გიბრძანა ძალი გიყო თუ ნებითა"
(არჩილანი, გვ 11).

ამასთანავე არჩილი იძლევა ისტორიულ ლიტერატურულ ცნობებს რუსთველისა და მისი პოემის დევნის ისტორიიდან. წუნობდნენ „ვეფხის ტყაოსანს" იმიტომ, რომ მასში ჰხოლოდ საერო ცოდნაა მოცემული. ამის გამო თეიმურაზს ზოგჯერ რუსთველზე მაღლა აყენებდნენ.

„საღვთო ცოდნით ვერ ამიხვალ საეროვე შეინახე" — მიმართავს თეიმურაზი რუსთველს. არჩილის თქმით კი „ამათ (თეიმურაზსა და რუსთველს) ორთავ სცოდნებიათ სასულიერო და საერო დაუჩაგრავათ მით სწორიო". შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება — დაასკვნის არჩილი, — რომ „ვეფხის ტყაოსანს" „თუცა სჩხრეკენ, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყიშს" (არჩ. გვ. 32). ე. ი. ვეფხის ტყაოსანში დადებითი, მისაღები აზრებია გამოთქმული და არავის, მით უმეტეს თანამედროვეებს, არ მართებთ მისი წახდენა. რეგვენი უნდა იყოს ადამიანი, რომ შოთას პოემას წუნი დასდოს; ამაზედ რუსთველს ალაპარაკებს არჩილი თეიმურაზის წინააღმდეგ.

„მეფევ არ იყო სათქმელი, წიგნის წახდენა თქვენგანა,
თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიკვირს უჰკვოთაგანა"
(არჩ. გვ. 22).

ამგვარად არჩილის კრიტიკული შეხედულებით „ვ. ტ." იდეურადაც და მხატვრულად მისაღები ნაწარმოებია.

არჩილის აზრით რუსთველს მარტო „ვეფხის ტყაოსანი" დაუწერია. ეს პოემა ისე დიდია, რომ მისი ავტორი მე 13-17 საუკუნის პოეტებმა პოეზიის მეფედ — „მელექსეთ თავად" იცნეს: „რუსთველო სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავვესა", ე. ი. მეთაურად აგირჩიესო — აღიარებს თეიმურაზი.

თამარის ქება. შოთას პოემის მსგავსი ამბები სხვებმაც აღწერა. თავისთავად ეს არაფერია. საქმე იმაშია ვინ როგორ აღწერა. მეო, ამბობს რუსთველი არჩილის სიტყვებით:

„ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი". არჩილს სულ ორიოდე სიტყვით აქვს მოცემული „ვეფხის ტყაოსნის" არქიტექტონიკის გარჩევა; პოემის შესავალი და ბოლოსიტყვაობა შეიცავს განმარტებებს, ზოგად მოსაზრებებს პოემის მთავარი ნაწილის გასაგებად.

„ჩემს ლექსებს თავი გასწყობია, პოლოს თარგმანს
ტანი აძლევს"... (არჩილიანი, 1888 წ. გვ. 18)

ვეფხის ტყაოსანში ეპოქის გმირები ვაჟკაცები და ქალებია ამეტყველებული:

„ვაჟკაცები ვასახელე, ქალებს ლაწვი გაუვარდე" (20)

შეუძლებელია ვინმემ რუსთველის ნიჭს ჩრდილი მიაყენოს. ნიჭი, პოეზია, დიდკაცობით ან მეფობით კი არ იქმნება, ის ერთგვარი მადლია. არავითარ კანონს არ შეუძლია მისი წართმევა:

„რაც კარგია ამ ქვეყანას ვიცი მეფეს მიერთმისა,
მაგრამ (ნიჭსა ვერ დაგითმობ) არც სამართლით წამერთმისა" (არჩ. 14).

# შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 22 და 23 დეკემბერს მოეწყო უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოსმენილ იქნა 9 მოხსენება. კლუბის გაჭედილმა დარბაზმა დიდი ინტერესით მოისმინა ჩვენი [illegible] და მეცნიერ მუშაკების მოხსენებანი გენიალური პოეტის უკვდავი ნაწარმოების — „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ.

სესიის პირველი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სახ. უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. გ. კიკნაძემ. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა პროფ. კ. კეკელიძე თემაზე „რუსთაველის ეპოქა". მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა რუსთაველის ეპოქის კულტურის [illegible] და კერძოდ შეჩერდა საქართველოს კულტურულ ცენტრებზე და ხაზი გაუსვა ბიზანტიურ-ირანულ კულტურის გავლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრება- [illegible] საინტერესო [illegible] პროფ. [illegible] ლაძე შეეხო ვეფხის ტყაოსანის მნიშვნელობას, მის სიდიადეს. მან „ვეფხის ტყაოსანი" დაახასიათა როგორც მხატვრული სიტყვისა და აფორიზმების უდიდესი ოსტატობის ნიმუში.

მეტად საინტერესო იყო პროფ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება. იგი ვრცლად შეჩერდა „ვეფხის ტყაოსნის" ავტორის მსოფლმხედველობაზე. მეტად დამაჯერებელ და საინტერესო მოხსენებაში ორატორმა ხაზი გაუსვა „ვეფხის ტყაოსნის" მსოფლიო საკაცობრიო ხასიათს და რუსთაველი დაახასიათა როგორც მოაზროვნე — ბრძენი პოეტი. მომხსენებლის აზრით რუსთაველი არ გაყვა არც ნეოპლატონიზმს და არც აღმოსავლურ სუფიზმს. მან ორივესაგან აიღო, მაგრამ დამოუკიდებლობა და ორიგინალობა გამოიჩინა საკითხების გადაჭრაში. იგი ამ მხრივ არავის ბაძავს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იმ მსგავსებას, რომელიც არსებობს რუსთაველისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიურს აზროვნებას შორის.

სესიის პირველი დღე დაიხურა პროფ. ვ. ბერიძის მოხსენებით „შოთა რუსთაველი — პოეტი თეორეტიკოსი".

სესიის მეორე დღე დაიწყო პ. ინგოროყვას მოხსენებით — „ვეფხის ტყაოსანზე" ადრინდელი ნაწარმოები შოთა რუსთაველისა". ინგოროყვას აზრით „ვეფხის ტყაოსანი" არ არის შოთა რუსთაველის პირველი ნაწარმოები. შეუძლებელია ასეთი სრულყოფილი ნაწარმოები რუსთაველის შემოქმედების პირველი ნიმუში იყოს. ორატორი ფიქრობს, რომ რუსთაველს ამ პოემაზე ადრე დაუწერია ეპიური ჟანრის ორი ნაწარმოები: „იოსებ მშვენიერი" და „ქებანი".

პროფესორმა ალ. ბარამიძემ თავის მოხსენებაში — „ტარიელი" ხაზი გაუსვა რა იმ ცრუ შეხედულებას, რომელიც არსებობს ტარიელზე აღნიშნა, რომ „ვეფხის ტყაოსანის" მთავარი გმირი ტარიელი გონიერი და „სიტყვა მჭევრი" გმირია. ბარამიძემ მთელი რიგი ფაქტებით დაამტკიცა ამ დებულების სისწორე.

სესიამ მოისმინა აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკის დოც. ტრ. რუხაძის მოხსენება თემაზე: „ვეფხის ტყაოსნის" გავლენა შემდეგი დროის ლიტერატურაზე".

„ვეფხის ტყაოსნის" უცხო ენებზე თარგმნის შესახებ მოხსენება წაიკითხა დოც. ს. იორდანიშვილმა. იგი ვრცლად შეეხო „ვეფხის ტყაოსნის" ყველა უცხოურ თარგმანს და დაახასიათა მათი ღირსება და ნაკლოვანებანი.

სამეცნიერო სესია დაიხურა დოც. ბერაძის მოხსენებით — „შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხის ტყაოსანში".

**შოთა რუსთაველი**

# თათბირი ტარიელისა*

ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა;
ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა ღირობა,
და კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა.

„მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
მხა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს, მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
და ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

„მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები.
სამთავე სამგნით მივჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები;
და მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცემთ მძლე ნები.

ფიცხლად შევებნეთ, შევსჯავრნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,
საძთაგან ერთი შევუვალთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა,
და ხელი კვლა ვჰხადოთ აბჯარსა. მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა.

ფრიდონ უთხრა: „შემიგია, გამიგია, ვიცი მე რა,
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრობენ კარსა ვერა;
ოდეს გიძლვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,
და თვარა ყოლა არ გიძლვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა".

ფრიდონ ლაღი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა.
ამაზედან გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,
ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა. მათთა მშვენთა
და გარდაჰხდეს და დაეკაზმეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

კვლა ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვახები.
დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები:
გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,
და ცხენებსა შესხდეს. აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

იგი ჰაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა;
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა;
ტარიელ შავსა ზედან ზის ტანითა მით წერწეტითა,
და დალივნეს მტერნი ომითა, ვითა მჴვრეტელნი ჰვრეტითა.



„რა დავარ გაძლა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოიღე[illegible]
და მას შიგან ჩასვეს იგი [illegible]ვს, იქმნა დარაჯეიის[illegible]

---

*) ნაწყვეტი

# სიბრძნის პოეზია

მრავალსაუკუნიანი ისტორიის მქონე ქართულ მწერლობაში ბრწყინვალე მზედ მოსჩანს გენიოსი პოეტი შოთა რუსთაველი თავისი საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლით — „ვეფხის ტყაოსნით“.

ქართველი ხალხი „ვეფხის ტყაოსანს“ საუკუნეთა განმავლობაში ინახავდა და თაობიდან თაობაში გადადიოდა იგი „ვით მარგალიტი ქებული, ხელიხელ საგოგმანები“.

საქართველოს ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ ბნელეთის მოციქულები, კლერიკალობა და მათი დამქაშები, ცეცხლითა და მახვილით გაენადგურებინათ ეს გენიალური ქმნილება. ამას ემატებოდა დაუძინებელი მტრების გამუდმებული ბრძოლები ქართველი ერისა და მისი კულტურის მოსპობისათვის. მაგრამ თავისუფლების მოყვარულმა ქართველმა ხალხმა, რომელმაც მრავალ ისტორიულ განსაცდელს გაუძლო, უდიდეს ქარტეხილებში გამოატარა თავისი კულტურის ეს სიამაყე.

რუსთაველი ქართულ კულტურას მოევლინა, როგორც თავისი დროის უდიდესი ჰუმანისტი.

როცა ეკლესია და მათი მსახურნი ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას არარაობად აცხადებდნენ, რუსთაველი გამოვიდა, როგორც ადამიანის ღირსების თავგამოდებით დამცველი. იმ დროის ამ უდიდესმა ადამიანმა პიროვნება მაღალ საფეხურზე აიყვანა. თუ რაიმე კულტზე შეიძლება ლაპარაკი „ვეფხის ტყაოსანში“, მაშინ რუსთაველისათვის ყველაზე დიდი კულტი ადამიანის კულტია. სწორედ ადამიანს უჭირავს ცენტრალური ადგილი ამ პოემაში. იგი ხალხის სიბრძნის განსახიერებაა და ამიტომ უყვარდა ხალხს იგი. ქართველი ხალხი მასში ცხოვრების სიბრძნეს კითხულობდა.

პოეტური ხელოვნების ამ ბუმბერაზ ძეგლში შესულია საქართველოსა და კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგარი მეზობელი ხალხების დიდი ლიტერატურულ ფილოსოფიური მოვლენები, როგორც ცალკე შენაკადები უზარმაზარ მდინარეში.

წინააღმდეგ სქოლასტიკური აბდაუბდისა, დიდი პოეტი ჰუმანისტურ იდეას ქადაგებდა. აქედან გასაგებია ეკლესიის მსახურთა გაავთრება გენიოს პოეტისადმი და მისი გამოცხადება ეგრედწოდებულ ერეტიკოსად.

რუსთაველი განსაკუთრებული ძალით აღნიშნავდა, რომ ადამიანი კი არ უნდა განიცდიდეს ამ ქვეყნიურ არსებობას, არამედ მებრძოლი და შემოქმედი უნდა იყოს; ცხოვრების სილამაზე მხოლოდ ბრძოლასა და შემოქმედებაში იგრძნობოდა.

როგორც აღვნიშნეთ ქართველმა ხალხმა მრავალ დარბევას გადაარჩინა ეს უკვდავი პოემა, მაგრამ ღირსეული დამფასებელი რუსთაველს ჩვენს დრომდე არ გამოსჩენია.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ქართველ მშრომელ ხალხს სრული შესაძლებლობა, დიადი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ღირსეულად დაეფასებია რუსთველის პოეტური შემოქმედება.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი, რომელიც **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს სოციალისტურ კულტურას, უდიდეს მზრუნველობით ეკიდება წარსულის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას.

**თოთაძე.**



ისმენდი, მოეც გონება, ჩემთა ამბავთა სმენასა,
საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა;
იგი, ვინ ხელ-მქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
და ვისგან შევეუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

## რუსი მწერლები თბილისში

შოთა რუსთაველის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად 23 დეკემბერს დილის 12 საათზე, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ აკადემიკოსები ვ. ვ. სტრუვე, ი. ი. მეშჩანინოვი, პროფ. სორი. ქ. დ. ლანდუა, მეცნიერებათა აკადემიის წევრი — კორესპონდენტი ვ. ფ. შიშმარევი, მეცნიერ-თანამშრომელი მეგრელიძე, მწერლები: გლადკოვი, ვსევოლოდ ივანოვი, კონსტანტინე ფედინი, დემიან ბედნი, ლევ კასილი და სხვები.

მწერალმა ფიდ. გლადკოვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმი უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მწერლებისათვის. იგი უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს მოძმე ლიტერატორებს. რუსთველი მთელი თავისი არსებით აქტუალურია, რადგან ამ დიდი პოეტის მთელი მოქმედება აყენებს ლიტერატურის ხალხურობის საკითხს, ჩვენი ლიტერატურის ამრიგად პრობლემას. რუსთველი მთელი თავისი არსებობით ღრმათ დაკავშირებულია თავის ხალხთან“.

სადგურის მოედანზე სადაც თბილისის მშრომელებმა სტუმრებს დიდი შეხვედრა მოუწყვეს, შესდგა მიტინგი, რის შემდეგ სტუმრები ქალაქში გაემგზავრნენ.

**ემ. გიორგობიანი**

# ხელოვნება

## „პირის-პირ“

### სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრში

„განა ცხადი არ არის, რომ ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხო სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში. (სტალინი).

საყვარელი ბელადის ამ ისტორიულ მითითების საფუძველზე შეუქმნიათ ძმებს ტურის და შეინინს პიესა „პირის-პირ“. მასში ასახულია ორი სამყარო, დიდი სოციალისტური — მშრომელთა ქვეყანა, რომელსაც მართავს მთელი პროგრესიული კაცობრიობისა და საბჭოთა ხალხის ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი; კაპიტალისტური, — რომელიც სიკვდილის მოლოდინში სულს ლაფავს. კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენს ზურგში გზავნიან მავნებლებს, ჯაშუშებსა და სხვა არამზადებს, რათა სისხლიანი ხელი აღმართონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა წინააღმდეგ.

აი ის უაღრესად აქტუალური თემა, [illegible] [illegible] [illegible] მა- ჩვენს [illegible] გუშინდელ, გნოლის [illegible] [illegible] კარგად თეატრს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მას დამაჯერებლად უნდა მოეცა საბჭოთა სამშობლოს პატრიოტებისა და კლასობრივი მტრების სახე. ეს საპატიო ამოცანა თეატრმა ძირითადად სწორად გადასჭრა.

პიესის მთავარი გმირია სახელოვანი შინსახკომის გამომძიებელი ლარცევი (მსახიობი დ. ცხაკაია).

ლარცევი სტალინური ეპოქის შვილია, სამშობლოს საუკეთესო პატრიოტი, რომელიც დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად თავს გასწირავს. მან კარგად იცის, რომ „არ არსებობს ისეთი საქმე რომლის გახსნაც არ შეიძლებოდეს“, ამიტომ იგი მზრუნველობით ზრდის ახალ კადრებს (თანაშემწე [illegible]). მართალია ეს როლი მსახიობ დ. ცხაკაიას კარგად დაუძლევია, მაგრამ მასვე უნდა მიეთითოს იმ დისციპლინის უქონლობაზე, რომელსაც სცენო ხელოვნება მოითხოვს.

კლერი, ეს ბურჟუაზიის მიერ მოგზავნილი აგენტია. იგი ჩვენში აწყობს დივერსიულ აქტებს და თავს იმით ინუგეშებს, რომ ყველაფერი ეს გამოიწვევს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ბოროტებას თავიანთი ხელისუფლების [illegible] მაგრამ მტერი ანგარიშში [illegible] [illegible] როლს ასრულებს მსახ. წე- [illegible] მისი გამოჩენა სცენაზე მაყურებლებში ზიზღს იწვევს. ეს მსახიობის უდაო გამარჯვებაა. ნახუცრიშვილმა მკრთალად ჩაატარა [illegible] ძაღლის — ივან ივანიჩის როლი. მას მეტი მოეთხოვებოდა.

კარგი იყო მსახ. სანაძე — პავლეს როლში. მისი თვითეული სიტყვა მაყურებლის გულს სწვდებოდა.

ქ. უგულავა ებრაელ აბრამ გურევიჩის (მკერავი) როლს ასრულებს. გურევიჩს გამოვლილი აქვს ის შავბნელი დრო, როცა მას [illegible] ადევნებდნენ. უყურებდნენ ისე, როგორც „ზედმეტს“. ამიტომ წუხილით იგონებს იგი წარსულს. ჩვენს ეპოქაში კი მან იგრძნო სტალინური მზრუნველობა, გათბა სტალინური ეპოქის სულით. ამ როლის შესრულებით მსახიობმა შექმნა მოხუცი ებრაელის სიმპატიური სახე. ამიტომაა რომ მას დარბაზი ხშირად უმართავს ოვაციას.

სუსტი იყო ავიო-ქარხნის დირექტორის როლის შემსრულებელი მსახიობი ჭილაძე.

უნდა აღინიშნოს სპექტაკლის მხატვრული გაფორმების სისუსტე.

კარგია მუსიკა განსაკუთრებით უკანასკნელ სურათში.

რეჟისორ გ. ლომაიას ცდა—მოეცა სრულყოფილი სპექტაკლი, [illegible] დად შესრულებულია.

**ალ. ავაზაშვილი.**

## ჩვენ გვწერენ

### უყაირათობა მითვისება და სხვა

ბევრი დაიწერა სტუდენტთა ქალაქის სასადილოს უყაირათო მუშაობის შესახებ, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდა.

კედელზე გაკრული პლაკატები ამაოდ გაიძახიან „დაიცავით სისუფთავე“. დამლაგებლები ხალტურულად მუშაობენ და დაკისრებულ საქმეს უსულგულოდ ეკიდებიან. სასადილოს პურის წერტის მუშაკები განგებ ქმნიან მომხმარებელთა რიგებს, რომ ხურდის უქონლობის მომიზეზებით სტუდენტთა კაპეიკები მიითვისონ. პური ხშირად მთელი დღის განმავლობაში არ არის და მხოლოდ მაშინ მოაქვთ, როცა სადილისათვის მრავალი სტუდენტი შეგროვდება.

ჩაის ფასი ნიხრში 12 კაპიკი სწერია, სინამდვილეში კი სტუდენტებს ორ ჭიქაში 25 კაპიკს ახდევინებენ.

რატომ არ კადრულობს სასადილოს ხელმძღვანელობა ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა სამართლიან საყვედურებს?

**ავ. მასხარაშვილი.**

### ლოლაძე და მისი საქმიანობა

ეკონომიური ფაკულტეტის № 174 ჯგუფის ხელმძღვანელი [illegible] ლოლაძე როგორც საჭიროა ისე არ მუშაობს.

იგი არა სწორად აწარმოებს სტუდენტების მიერ ლექციებზე დასწრების აღრიცხვას. მაგ.: 28 ნოემბერს სტუდენტს ალ. ჭედიას ჟურნალში 6 საათის გაცდენა ჩაუწერა, მიუხედავად მისა, რომ იგი იმ დღეს ყველა ლექციას დაესწრო. ეს მდგომარეობა შენიშნა ჯგუფის პარტორგმა ამხ. ს. ბახტაძემ და მიუთითა არა სწორ მოქმედებაზე. ლოლაძემ უტიფრად განაცხადა: „მართალია მაშინ დაესწრო, მაგრამ შემდეგ როდისმე გააცდენს და არ აღვრიცხავო“.

ლოლაძე თითონ აცდენს ლექციებს, მაგრამ პასუხს არავინ სთხოვს.

იგი ჯგუფის ქალიშვილებთან არაამხანაგურ დამოკიდებულებაშია. მათ ხშირად მიმართავს უწმაწური სიტყვებით.

ლოლაძის უყაირათო და უმსგავსო საქმიანობის შესახებ [illegible] ცნობა, მაგრამ ეს უკანასკნელი საქმით არ დაინტერესდა.

სანამ „უხელმძღვანელებს“ 174 ჯგუფს ლოლაძე?

**ალიკო ფანჩულიძე.**

### სესიებისათვის არ ემზადებიან

სასწავლო წლის პირველი სემესტრი უკვე ილევა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს კი სესიებისათვის სამზადისი ჯერაც არ გახსნებიათ.

სტუდენტებმა არ იციან რამდენი საგანი უნდა ჩააბარონ სესიაზე, ხოლო დეკანატები თავს არ იწუხებენ, რომ მათ სესიების გეგმა გააცნონ.

ზოგ ფაკულტეტზე 5-6 სასესიო საგანია. ფაქტია, თუ ცხრილი სესიების დაწყების მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გამოაკრეს, სტუდენტებს საგნების [illegible] [illegible] [illegible] დრო დარჩებათ.

ეს ამბავი დროზე უნდა გაითვალისწინონ ფაკულტეტის დეკანატებმა და დაჩქარებით [illegible] [illegible] სესიის ჩატარების პირობები.

**კა—ძე**

### ექსკურსია

15 დეკემბერს ბიოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო წრის ინიციატივით ქ. სოხუმში მოეწყო სტუდენტთა და პედპერსონალის ექსკურსია. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კილასურის მიდამოები, ბიოლოგიური მეცნიერებისათვის საინტერესო მცენარეულობა და სხვა, შემდეგ კი სოხუმს გაემგზავრნენ.

სოხუმში ექსკურსანტები ესტუმრნენ ბიოლოგიურ სადგურს, ზოოლოგიურ ლაბორატორიას, ბოტანიკურ ბაღს, ზოოპარკს, პორტსა და გაეცნენ თევზების დასამუშავებელ სადგურს.

სტუდენტებმა მცენარეთა მრავალი საინტერესო ნიმუში შეაგროვეს და ჩამოიტანეს. ბიოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო წრის საჯარო სხდომაზე [illegible] [illegible] ექსკურსიის შედეგები.

**იაშა მარაქველიძე.**

## მოკლე სიგნალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხელი გვეშლება

დაუსწრებელი პედსექტორის მუშაობა ბინის სივიწროვის გამო ფერხდება. სექტორს არ აქვს მიჩენილი ცალკე აუდიტორიები. 31 დეკემბრიდან უნდა ჩატარდეს სტუდენტთა 10 დღიანი შეკრება ლექციების წასაკითხად, მაგრამ შეკრება ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას, რადგან 2000 სტუდენტისათვის საკმარისი აუდიტორიები არ არის.

**გ. პაპავა.**
**ი. ყაჭიური.**

### რას იტყვის დეკანატი

იურიდიული ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას არ ცდილობს. მაგ.: მე-6 კორპუსის № 47 ოთახში ნაცვლად 7 კაცია ჩასახლებული. ოთახის ასეთი გადატვირთვა ჰიგიენურად მიუღებელია და მეცადინეობასაც შეუძლებელს ხდის.

**ა. ჯიჯიეშვილი.**
**დ. ჯანჯღავა.**

### უქნარა ჯგუფხელები

ფიზიკა - მათემატიკის ფაკულტეტის ზოგი ჯგუფის ხელმძღვანელი დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს. № 15[illegible] ჯგუფის 25 სტუდენტიდან 13 დეკემბერს ლექციას მხოლოდ 12 კაცი დაესწრო. ჯგუფხელ [illegible] კი ზუსტ [illegible] აღრიცხვის ნაცვლად. მხოლოდ [illegible] [illegible] [illegible] ლექციების გაცდენა [illegible]. ასევე იქცევა 182 ჯგუფის ხელმძღვანელი ა. სალუქვაძეც.

ამ მდგომარეობას ალბათ დეკანატი მიაქცევს ყურადღებას.

**„კავალერისტი“.**

### კოვზები არ არის

სახუნტის ბუფეტში კოვზები საკმარისი რაოდენობით არ აქვთ. სტუდენტები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ბუფეტის გამგევ რას ფიქრობს ამის შესახებ?

**ე—ძე**

პატარა ფელეტონის მაგიერ

### ლაშქარაძე ლაშქარს დასძლევს

ყველა დაგვეთანხმება, რომ სტუდენტი დისციპლინიანი უნდა იყოს. ის აუცილებელია, რომ საბჭოთა სტუდენტს ხულიგნობის იერი და მოქმედება არ უნდა ახლდეს. მაგრამ სამწუხაროდ უნივერსიტეტში კიდევ მოიპოვებიან ასეთი სერიის ჭაბუკები.

ლაპარაკია კაცზე, რომელსაც თ ძველი კავკასიელის ტიპად მოაქვს. ნად არც ისე მაღალია, იცნობა მოგ წვერ-ულვაშის ჯიჯილითა და ხულიგნური საქციელით. ეს კაცი დავით ლაშქარაძეა.

— ვინ ვარ მე და ვინ არის ჩემ ლაშქარი — ხშირად ფიქრობს ის. ბად ამ ფიქრებით იყო იგი გართუ როცა თავი ტარიელად წარმოიდ და უდანაშაულო სტუდენტ ვ. შ შვილზე მუშტიკრივით იერიში მი ნა.

თითქოს დაუჯერებელია უნივერ ტეტში ასეთი ამბავი მოხდეს, მაგ სამწუხაროდ ეს ფაქტია.

ვნახოთ ვინ დასძლევს—ლაშქარი ლაშქარაძე.

**სერგო თურნავა**

### წერილი რედაქციის მიმარ

ამხ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 11 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით — „ფეხბურთის მაღალი სხისათვის“. წერილში აღნიშნ იყო ის ნაკლოვანებანი, რაც [illegible] და ხელს უშლის უნივერსიტეტის ბურთის გუნდს.

მე, როგორც გუნდის ახალი [illegible] ძლიანილი, ყოველ ღონეს [illegible] ფეხბურთელებში აღიკვეთოს ურთიერთ-არაამხანაგური დამოკიდებულება, დავმონ ინდივიდუალური თამაშის ლი, ვეცდებით ჩვენი ფეხბურთ დი გადავაქციოთ მტკიცე [illegible] კოლექტივად.

ფეხბურთის გუნდის ხელმძღვანე [illegible]

[illegible] რედაქციის კოლეგია

მთავლიტის რწმუნებული № — 15538.

სახ. უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია, მარის ქ. № 1. ტირაჟი 4.000